ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას, განივითარეთ მაღალი იდეურობა! ისწავლეთ ლენინურად, კომუნისტურად ცხოვრება, მუშაობა და ბრძოლა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 75 (6141)

18 აპრილი, სამშაბათი. 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ფეხბურთი

სსრ კავშირის თასზე

●

ასე დაწყვილდნენ მეოთხედფინალისტები:

„შახტიორი“ (დონეცკი) — „ნეფთჩი“ (ბაქო),

„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი),

„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (კიევი).

მეოთხე წყვილი გამოვლინდება 19 აპრილს.



# ცხოვრობს, მოქმედებს საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია

**საქართველოს** სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა მთელს რესპუბლიკაში მიმდინარეობდა დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, რაც პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის მკაფიო დემონსტრაციაში გადაიზარდა.

ამ ისტორიული მნიშვნელობის პოლიტიკურ დოკუმენტში, რომელიც ერთსულოვნად მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიამ, ასახავს სახელმწიფოს მშენებლობის მდიდარი გამოცდილება, ასახულია საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში რესპუბლიკის განვითარების ახალი ეტაპი.

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია თვალნათლივ ასახავს საბჭოთა ადამიანების წინაშე სახელმწიფოს ვალდებულებათა გაფართოების პროცესს, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მოქალაქეთა მზარდი მოთხოვნილებები, კერძოდ, შრომის, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევათა სარგებლობის უფლება და სხვა. ყველა ეს უფლება განუყოფელია მოვალეობებისაგან, რომლის კეთილსინდისიერი, პირუთვნელი შესრულება თითოეული საბჭოთა ადამიანის მოვალეობაა.

საქართველოს მშრომელებს ახალი კონსტიტუციის მიღება მიაჩნიათ იმის მკაფიო გამოვლენად, რომ გაიმარჯვა ჩვენი პარტიის ბრძნულმა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ, რომ ურღვევია საბჭოთა ხალხის მეგობრობა და ძმობა, რომ მშობლიური კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი დაუცხრომლად ზრუნავენ ჩვენი რესპუბლიკის, ისევე როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, წინსვლისთვის და აყვავებისთვის.

რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციაში, ისევე როგორც სსრ კავშირის კონსტიტუციაში, პირველადაა ფიქსირებული, რომ სახელმწიფო ზრუნავს მასობრივი ფიზკულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარებისთვის. ის ფაქტი, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება ამიერიდან კონსტიტუციური კანონმდებლობით იქნება განმტკიცებული, ახალი ამოცანების წინაშე აყენებს რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაკებს, მწვრთნელებს, აღმზრდელებს, ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს. ახალი ზღუდეების დაძლევა მოუწევს, აგრეთვე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტთა სამჭედლოს — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტს, რომელსაც წლეულს დაარსებიდან 40 წელი შეუსრულდა.

**სწორედ ამ უმაღლესი სასწავლებლის შესახებ მოგითხრობთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე.**

●

**სურათებზე: ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის ფრიადოსანი სტუდენტი ტ. ქიმმარეაშ ბიბლიოთეკაში მეცადინეობისას; საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, დოცენტი ს. თედეევი მორიგ ვარჯიშზე.**

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



# თბილისის „დინამო“ მეოთხედფინალში



**კვირადღეს** ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში იყო სსრ კავშირის თასის მერვედფინალური მატჩები, რომლებსაც უნდა გამოევლინათ ამ შეჯიბრების შემდგომი, მეოთხედფინალური ეტაპის მონაწილენი.

თბილისის „დინამოს“ საპასუხო შეხვედრა ჰქონდა ტაშკენტში, „პახტაქორთან“. ჩვენ გვახსოვს ამ გუნდების პირველი მატჩი, რომელიც 2 აპრილს შედგა თბილისის სტადიონზე. იმ პერიოდში, სეზონის სტარტზე, თბილისელთა კოლექტივი ვერ გამოიყურებოდა შთამბეჭდავად, მაყურებელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა მისი თამაშით, საკონტროლო მატჩების შედეგებით და თვით ის შეხვედრაც ვერ იქნა ჩატარებული სასურველ დონეზე. დინამოელებმა გაიმარჯვეს მხოლოდ მინიმალური ანგარიშით და ეს გარკვეულ შეშფოთებას იწვევდა საპასუხო მატჩის მოსალოდნელი შედეგის მიმართ.

მაგრამ დაიწყო საკავშირო ჩემპიონატი, თბილისელთა რიგებს დაუბრუნდა ზოგიერთი ტრავმირებული მოთამაშე და გუნდმაც ნათლად დაამტკიცა, რომ ზედმეტი სკეპტიციზმი მისი საბრძოლო ფორმის შესახებ უსაფუძვლო იყო. ჩვენმა ფეხბურთელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს პირველობის ორივე მატჩი, როგორც მოსკოვის „სპარტაკთან“, ისე კიევის „დინამოსთან“, ქულათა მაქსიმუმი აიღეს, ხოლო 16 აპრილს ტაშკენტის სტადიონზე კიდევ ერთხელ ცხადყვეს თავიანთი მაღალი კლასი, როცა ხელმეორედ დაამარცხეს ადგილობრივი „პახტაქორი“.

მეტოქეთა შემადგენლობანი ამ დღეს ასეთი იყო: **„პახთაქორი“** — ჩეჩეტინი, სეროსტანოვი (ისაკოვი), ამიროვი, მოგილნი, ზაგუმენიხი, კორჩენოვი, ჩურკინი, ანი, მაკაროვი, ფიოდოროვი, ბაკანოვი;

**„დინამო“** (თბილისი) — გაბელია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი (გ. მაჩაიძე), ყიფიანი, შენგელია (ჩელებაძე).

მსაჯი — ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

ბრძოლას თავიდანვე შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა. მასპინძლების თავდამსხმელები ვერაფერს გახდნენ თბილისელთა ორგანიზებული დაცვის წინააღმდეგ, საპასუხო იერიშების დროს კი ჩეჩეტინის კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები. 24-ე წუთზე ქორიძის შორეული გადაცემისას მეკარემ უზუსტოდ ითამაშა, მას დაასწრო შენგელიამ და თავით გაგზავნა ბურთი „პახთაქორის“ კარის ბადეში — 1:0.

შესვენების შემდეგ დინამოელებს არ შეუნელებიათ შეტევები, ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა მიეცათ ჩივაძეს, შენგელიას, ყიფიანს, კარს აცდა მ. მაჩაიძის ძლიერი დარტყმა.

„პახთაქორი“ ძალზე ძნელი ამოცანის წინაშე იმყოფებოდა. ახლა მას თამაში უნდა მოეგო სულ ცოტა ანგარიშით 3:1, რომ ორი მატჩის ჯამში ბურთების უკეთესი სხვაობა ჰქონოდა, მაგრამ საამისო მინდორზე არაფერი ჩანდა. თბილისელები არ უშვებდნენ ხელიდან ინიციატივას. არ უშველა საქმეს 74-ე წუთზე „დინამოს“ კარში ხელით თამაშისთვის დანიშნულმა პენალტმაც: მეკარე გაბელიამ აიღო ანის მიერ დარტყმული ბურთი.

თბილისელმა დინამოელებმა შესანიშნავად გაართვეს თავი საპასუხო მატჩის სიძნელეებს, მოიგეს იგი და მოიპოვეს სსრ კავშირის თასის მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება.

* * *

**ჩვენი** გუნდის მეტოქე ამ ეტაპზე უნდა გამოვლენილიყო ამავე დღეს მოსკოვში, ადგილობრივი გუნდების „ლოკომოტივისა“ და „სპარტაკის“ მატჩში. ამ წყვილის პირველი შეხვედრა შედგა სოკოლნიკში (იქ მასპინძლობდნენ სპარტაკელები) და დამთავრდა ფრედ — 0:0. „ლოკომოტივის“ სტადიონზე უკეთ ითამაშეს რკინიგზელებმა, რომლებმაც გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. ეს ერთადერთი გოლი მეორე ტაიმში გაიტანა თავდამსხმელმა გაზაევმა.

ამრიგად, მეოთხედფინალში თბილისის „დინამოს“ მეტოქე იქნება მოსკოვის „ლოკომოტივი“. მატჩები გაიმართება 7 და 21 ივნისს.

* * *

გამოვლინდნენ მეოთხედფინალის სხვა მონაწილენიც. კიევის დინამოელებმა, რომლებსაც მერვედფინალის პირველი მატჩი ოდესის „ჩერნომორეცთან“ წაგებული ჰქონდათ ანგარიშით 1:2, აიღეს დამაჯერებელი რევანში — 4:0. დონეცკის „შახტიორს“ შინ დამარცხებული ჰყავდა ერევნის „არარატი“ — 3:0, ახლა დონეცკელებმა მოწინააღმდეგის მინდორზეც იმარჯვეს — 2:0.

ლენინგრადის „ზენიტმა“ პირველ მატჩში ფრეს მიაღწია ალმაათის „ქაირათთან“ — 1:1, მეორე შეხვედრა დამთავრდა ასევე ფრედ, 0:0, მაგრამ მეტოქის მინდორზე გატანილმა გოლმა ლენინგრადელებს გზა გაუხსნა მეოთხედფინალისკენ.

ბაქოს „ნეფთჩიმ“ პირველი მატჩი ოდესის არმიელთა გუნდს მოუგო ანგარიშით 4:0. განმეორებით შეხვედრაში ოდესელებმა შეძლეს რევანშის აღება, მაგრამ „მხოლოდ“ ანგარიშით 3:0 და თასისთვის ბრძოლას განაგრძობს „ნეფთჩი“.

16 აპრილს შედგა, აგრეთვე, მერვედფინალის პირველი შეხვედრები. მოსკოვის „დინამომ“ პოდოლსკში დაამარცხა ცსკა — 2:1 (ერთი ბურთი გაიტანა წერეთელმა), ხოლო ვოროშილოვგრადის „ზარიამ“ თავის მინდორზე ფრედ ითამაშა მოსკოვის „ტორპედოსთან“ — 0:0. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრები გაიმართება 19 აპრილს.

## ცხოვრობს, მოქმედებს საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია

**საბჭოთა** საქართველოს მშრომელები სამი კვირა ცხოვრობდნენ საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის გამოქვეყნებული საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის შთაბეჭდილებებით. და აი, 15 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ ერთსულოვნად მიიღო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია. დღის სინათლე იხილა და მოქმედებას შეუდგა ჩვენი ხალხის დიადი ქარტია, რომლის თითოეული მუხლი, სტრიქონი და სიტყვა ადამიანის კეთილდღეობისთვის ზრუნვითაა გამსჭვალული.

ნიშანდობლივია, რომ ეს დაუვიწყარი პროცესი, მზიური საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის, დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების პროცესი, გაზაფხულის ამ მშვენიერ დღეებს დაემთხვა; გაზაფხული ხომ სიცოცხლის დასაბამის, მარადიული სიჭაბუკის, ბედნიერებისა და სიხარულის ჭეშმარიტი სიმბოლოა.

ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქეთა იმ მრავალმილიონიან არმიაში, რომელიც ერთსულოვნად იწონებს და მხარს უჭერს ახალ კონსტიტუციას, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები და სტუდენტებიც არიან.

ფიზკულტურის ინსტიტუტში გაიმართა ხალხმრავალი კრება, რომელიც საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვას მიეძღვნა.

კრებაზე გამოსული პედაგოგ-აღმზრდელები, ფიზკულტურისა და სპორტის მომავალი სპეციალისტები, სპორტსმენები სიამაყით აღნიშნავდნენ, რომ ამიერიდან საქართველოს მშრომელები იცხოვრებენ, იშრომებენ და გაიმარჯვებენ ახალი კონსტიტუციის მიხედვით, რომელიც მთლიანად შეესაბამება რესპუბლიკის მოქალაქეთა ინტერესებს და მისწრაფებებს. ორატორები განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ახალი კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ განათლების უფლება, რომ კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცების, მასობრივი ფიზკულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების საკითხებს. ის ფაქტი, რომ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარება სახელმწიფოს ყოველდღიური ზრუნვის საგანია და იგი კონსტიტუციური კანონმდებლობითაა განმტკიცებული, ერთიორად ზრდის სტუდენტი ახალგაზრდობის, ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების, მათი მწვრთნელ-აღმზრდელების პირად პასუხისმგებლობას...





# ორმაგი სიხარული

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორს, დოცენტ არჩილ მელიას.

— ჩვენ ამ დღეებში, თუ შეიძლება ითქვას, ორმაგი სიხარულით ვცხოვრობთ, — გვითხრა ა. მელიამ, — ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა და მიღება დაემთხვა ჩვენი ინსტიტუტის მე-40 წლისთავის საიუბილეო დღეებს. დიახ, უკვე ოთხი ათეული წელიწადია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტების, მწვრთნელ-მასწავლებლების, ჯანსაღი, ჰარმონიულად განვითარებული მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება. ჩვენ თვალნათლივ ვგრძნობთ პარტიისა და მთავრობის, საბჭოთა სახელმწიფოს ჭეშმარიტად მამობრივ ზრუნვას სწავლისა და დასვენების საუკეთესო პირობების შექმნისთვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი წინსვლა-განვითარებისთვის. საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციაც ხომ ამ ზრუნვის მკაფიო დადასტურებაა.

გასული ორმოცი წლის მანძილზე ჩვენს ინსტიტუტში 6500-ზე მეტი კვალიფიციური სპეციალისტი მომზადდა. მათი უმრავლესობა ნაყოფიერად მუშაობს როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

უკანასკნელ პერიოდში ინსტიტუტში ბევრი ორგანიზაციული და სტრუქტურული ხასიათის ცვლილება მოხდა. გაიზარდა კათედრების რაოდენობა, გადახალისდა პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა, გაუმჯობესდა მეცადინეობის ხარისხი, მივაღწიეთ იმას, რომ ინსტიტუტში მოდის როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად უწინდელზე უკეთ მომზადებული ახალგაზრდობა.

ყოველივე ამან, ბუნებრივია, დადებითად იმოქმედა სასწავლო პროცესის ხარისხზე. ერთ შედარებას მოვიყვან: თუ 1973 წელს სტუდენტთა მოსწრების მაჩვენებელი 72,8 პროცენტს უდრიდა, 1977 წლისათვის მან 93,8 პროცენტს მიაღწია.

ინსტიტუტის რექტორატი, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მრავალფეროვან მუშაობას ეწევიან სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის. აღმზრდელობითი მუშაობა ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი, სტუდენტურ დღეებში მონაწილეობა, ამიერკავკასიის ფიზკულტურის ინსტიტუტების მოჭიდავეთა ამხანაგური შეხვედრა, ტრადიციული მატჩი ჩოგბურთში, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირის, ჩვენი ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტის გახტანგ ლეჟავას ხსოვნას ეძღვნება. კომკავშირის კომიტეტი ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში ყოველწლიურად აწყობს ინტერნაციონალურ საღამოებს, რომლებშიც მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად საზღვარგარეთელი სტუმრებიც მონაწილეობენ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომით აღზრდას. სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ „მესამე სემესტრში“, ლენინურ შაბათობებში. ისინი მხარში ედგნენ „დინამოს“ უნიკალური სტადიონის, ცენტრალური ველოდრომის, გრიბოედოვის სახელობის თეატრისა და საცურაო აუზის მშენებლებს.

ინსტიტუტის ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სპორტულ მუშაობას. სტუდენტები თავიანთ ოსტატობას იმაღლებენ სპეციალურ ჯგუფებში, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლებში, რესპუბლიკისა და ქვეყნის ნაკრებ გუნდებში.

ამჟამად დღის განყოფილებაზე 9 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 136 სპორტის ოსტატი და 252 ოსტატობის კანდიდატი სწავლობს, მათ შორის არიან მსოფლიოს, ევროპისა და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატებში გამარჯვებულები და პრიზიორები, 274 სპორტსმენი საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრებ კოლექტივებში ირიცხება. სტუდენტთა სპორტული ოსტატობის დონის უფრო ასამაღლებლად საჭიროა კარდინალური ზომების მიღება. აქ პირველ რიგში სპორტულ ნაგებობათა ქსელის გაფართოებას ვგულისხმობ. მალე დაიწყება სამდარბაზიანი სპორტული კომპლექსის მშენებლობა, მწყობრში ჩადგება ღია საცურაო აუზი.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტს დრომ დიდი და რთული მოთხოვნები წაუყენა. ფიზკულტურისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის ღრმა ცოდნასთან ერთად, თანამედროვე მწვრთნელი და აღმზრდელი ანატომიის, პედაგოგიკის, ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის, ბიოქიმიისა და სხვა მეცნიერების საფუძვლებსაც უნდა ფლ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის
რალურმა მდივანმა, სსრ კავ
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმ
ვმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძ
ჟნევმა სტუდენტთა საკავშირო
რებაზე აღნიშნა: „საბჭოთა ს
ლისტი დღეს ის ადამიანია, რო
კარგადაა დაუფლებული მარქსი
ლენინური მოძღვრების საფუძ
ნათლად ხედავს პარტიისა და
ნის პოლიტიკურ მიზნებს, აქვს
თო მეცნიერული და პრაქტიკულ
მზადება, უნაკლოდაა დაუფლ
თავის სპეციალობას“. ეს სი
ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედად

საბჭოთა საქართველოს ახალი
სტიტუცია, რომელიც ერთსულ
მოიწონა და მიიღო ჩვენმა ხ
მეტად საპასუხისმგებლო ამოც
წინაშე გვაყენებს. ფიზკულტური
სტიტუტის ხელმძღვანელობა,
ფესორ-მასწავლებლები ძალას
ენერგიას არ დავიშურებთ ამ
ცანათა წარმატებით გადაჭრის

• • •

**სურათებზე:** ა. ხუციშ
ბირთვის კვრის ტექნიკას 
ლის პირველკურსელებს; დ
ტი ზ. ჩახნაშვილი პრაქტიკუ
ცადინეობას უტარებს სტ
ტებს.

ა. კოტორაშვილის ფოტ



### საბჭოთა სახანძრო დაცვა 60 წლისაა

# ცეცხლის მომთვინიერებელნი

**კაცობრიობის** დიდმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა 1918 წლის 17 აპრილს ხელი მოაწერა დეკრეტს „ცეცხლთან ბრძოლაში სახელმწიფო ღონისძიებათა ორგანიზაციის შესახებ“. ამ დეკრეტით საფუძველი ჩაეყარა სახანძრო დაცვის სრულიად ახალ სისტემას, რომელიც სახალხო დოვლათის ცეცხლისგან უვნებელყოფის ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

ჩვენი ქვეყნის წინსვლასთან ერთად მტკიცდებოდა ცეცხლოვანი ფრონტის მებრძოლთა საბრძოლო ტრადიციები, იხვეწებოდა მათი ოსტატობა.

სოციალისტური სამშობლოს პროგრესი ახალ ამოცანებს აყენებდა საბჭოთა მეხანძრეების წინაშე. საჭირო იყო მუშაობის მთელი კომპლექსის საფუძვლიანი გადასინჯვა, თანამედროვე სახანძრო ტექნიკით აღჭურვა, პირადი შემადგენლობის პროფესიული დონის ამაღლება... ამისთვის დაუღალავად ზრუნავდა და ზრუნავს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

სახანძრო დაცვის მუშაკების ვალია მედგრად ებრძოლონ ცეცხლოვან სტიქიას. ამ ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა შესანიშნავი ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება, მათ უნდა შეეძლოთ ყველა ხანძრის სალიკვიდაციოდ ეფექტური ხერხების გამოყენება.

იმისთვის, რომ ცეცხლს ებრძოლო, ბრწყინვალედ ფლობდე სპეციალურ სახანძრო ტექნიკას და საერთოდ, მეხანძრის პროფესიას, აუცილებელია სისტემატური ვარჯიში. სპორტული წრთობის გარეშე წარმოუდგენელია ხანძრის პირობებში მორალური და ფიზიკური ძალების მაქსიმალური მობილიზება. ასეთ თვისებებს კი მეხანძრეები სახანძრო-გამოყენებითი სპორტის მეშვეობით იძენენ.

სახანძრო-გამოყენებითი სპორტი თავდაპირველად წარმოადგენდა კომპლექსური შეჯიბრების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს მძლეოსნობასთან, ტანვარჯიშთან, ცურვასთან და სროლასთან ერთად, მაგრამ ცხოვრებამ მალე ცხადყო, რომ მეხანძრის პროფესიული მომზადებისთვის ეს საკმარისი არ გახლდათ. დღის წესრიგში დადგა სპორტის ამ სახეობის დამოუკიდებლად გამოყოფის საკითხი.

სახანძრო-გამოყენებით სპორტში რესპუბლიკის პირველობას 1937 წელს ჩაეყარა საფუძველი. სამამულო ომამდე სარბიელზე თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ფოთისა და ქუთაისის ნაკრები გუნდები გამოდიოდნენ.

დიდი სამამულო ომის შემდეგ კვლავ აღდგა შეჯიბრებების ჩატარების ტრადიცია. 1946 წელს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მთავარმა სამმართველომ გამართა საკავშირო ასპარეზობა, რომელსაც წინ უძღოდა რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების გუნდების ზონალური ტურნირები. ერთი ასეთი შეჯიბრება გაიმართა თბილისში. სტარტზე საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, კრასნოდარის, სტავროპოლის, როსტოვის, გროზნოსა და დაღესტნის კოლექტივები გამოვიდნენ. I ადგილი ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა დაიკავა.

საქართველოს მეხანძრე-სპორტსმენების ოსტატობა წლიდან-წლამდე მაღლდებოდა და მალე მათ საკავშირო შეჯიბრებების პრიზიორთა სახელი მოიპოვეს.

სახანძრო-გამოყენებითი სპორტის ისტორიაში ფართოდ გაითქვა სახელი მამაცმა მეხანძრემ და კარგმა სპორტსმენმა, სპორტის ოსტატმა მ. დარცმელიამ. იგი მრავალი წლის მანძილზე იყო რესპუბლიკის ჩემპიონი, 1955 წელს კი კიევში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაზე ორჭიდში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

მ. დარცმელიას სპორტთან კავშირი დღესაც არ გაუწყვეტია — იგი თავის ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემს ახალგაზრდა მეხანძრე-სპორტსმენებს.

ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდი მრავალჯერ გამოსულა საკავშირო შეჯიბრებებში და საპრიზო ადგილებიც მოუპოვებია. საქართველოს ნაკრების წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანეს სპორტის ოსტატებმა: ვ. პეტრიაშვილმა, მ. გოგიტაშვილმა, დ. ოდიშარიამ, ბ. შანიძემ, ვ. სიხარულიძემ, გ. ქათამაძემ, გ. ბუკიამ, მ. ჯაყელმა, დ. გაბუნიამ და სხვებმა.

რესპუბლიკის სპორტსმენებს ბევრჯერ წარმატებით დაუცავთ საბჭოთა კავშირის ნაკრების სახელი საერთაშორისო ტურნირებში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან სპორტის ოსტატები თ. კიზირია და რ. სიხარულიძე. რ. სიხარულიძემ იტალიაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა და ასპარეზობის მთავარ პრიზს დაეუფლა.

საქართველოში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა სპორტის ოსტატ ბონდო შანიძის პრიზზე რესპუბლიკის ღია ჩემპიონატის ჩატარება. ამ შეჯიბრების ფართო რეზონანსზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მასში მონაწილეობენ როგორც საბჭოთა კავშირის უძლიერესი გუნდები, ისე მოძმე სოციალისტური ქვეყნების საუკეთესო მეხანძრე-სპორტსმენები.

**გ. მაისურაძე,**
**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს აგიტაცია-პროპაგანდის ქვეგანყოფილების უფროსი.**

# საკავში
# სპარტაკია
# პროგრამ

თბილისის სპორტულ
მიმდინარეობს VII საკავშ
რტაკიადის პროგრამით გ
წინებული „დინამოს“
ტურული კოლექტივების
ბა სპორტის 9 სახეობაში.

შეჯიბრება დაამთავრეს
ზამთრის მრავალჭიდელებ
ჭადრაკეებმა და სამბისტ

გუნდურ ჩათვლაში 360
I ადგილზე გავიდა მე-7
ლტურული კოლექტივი.
ნო ადგილებზე გავიდნ
(304 ქულა) და მე-8 (28
კოლექტივები.

პირად პირველობაში
ასაკობრივ ჯგუფში 85 ქუ
ლას აჯობა მ. მენშოვმა (
ლექტივი), მეორე ა
ჯგუფში — მ. ჯოხაძემ (მ
ლექტივი).

მშდ-ის მრავალჭიდელთ
I თანრიგის ნორმატივი
შეასრულა.

ჭადრაკში გუნდური
ადგილები ასე განაწილ
მე-11 და 1-ლი კოლექ

საინტერესოდ მიმდი
სამბისტთა შეჯიბრება.
9 კოლექტივის 80 მოჭ
მოვიდა.

წონითი კატეგორიების
ვით გაიმარჯვეს: მ. სო
ქ. სიაბანდოვმა, ე. ა
გ. ბალაშვილმა, ზ. ბახტ
ლა — მე-8 კოლექტივი)
ქიაშვილმა, კ. არაბულმ
— მე-4 კოლექტივი) და
რაძემ (მე-11 კოლექტი

გუნდურ ჩათვლაში
მე-8 კოლექტივმა აჯობა
მოდიან მე-11 და მე-4 
ვები.

3 სახეობის შემდეგ 
და მე-7 კოლექტივი.

სპარტაკიადა გრძელდ

გ. დოლენჯა

## კალათბურთი

### მეორე ცნობილია, მესამე?

**ლენინგრადში** დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურნირის მეორე ეტაპი.

ამ ეტაპზე გამოვლინდა ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორიც. ეს გახლავთ ლენინგრადის „სპარტაკი“. დასკვნითი ორი მატჩი ლენინგრადელებმა მოუგეს ჯერ კაუნასის „ჟალგირისს“ (110:105), ხოლო შემდეგ ქვეყნის ჩემპიონებს, მოსკოველ არმიელებს (96:86).

ბოლო ორი დღის დანარჩენ შეხვედრებში თბილისის „დინამომ“ დაამარცხა ცსკა — 112:101 და წააგო კაუნასის „ჟალგირისთან“ დამატებით დროში — 109:111.

დასკვნითი მესამე ეტაპი გაიმართება ვილნიუსში 24-26 აპრილს, სადაც გამოვლინდება ბრინჯაოს მედლის მფლობელი გუნდი.

**მდგომარეობა დასკვნითი ეტაპის წინ**

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 27 | 4 | 3437—2895 | 58 |
| „სპარტაკი“ | 21 | 10 | 2946—2775 | 52 |
| „დინ.“ თბ. | 16 | 15 | 3002—3088 | 47 |
| „ჟალგირისი“ | 15 | 16 | 3072—3182 | 46 |

## ხელბურთი

### ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე

**გუშინწინ** ბერლინში შედგა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი ხელბურთელ ქალთა გუნდებს შორის. ადგილობრივმა ტსკ-მ მოუგო ბუდაპეშტის „ვაშაშს“ — 19:14 (9:7). საბჭოთა სპორტსმენები ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

## ტელეტაიპის ლენტიდან

**ფარიკაობა.** მინსკში გამართულ 11 ქვეყნის რაპირისტ ქალთა საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა მოსკოველმა ვ. სიდოროვამ, რომელმაც ამ ტრადიციულ ასპარეზობაში გაიმეორა შარშანდელი მიღწევა. II ადგილზე გავიდა კუბელი მ. როდრიგესი. III ადგილი ოლიმპიურ ჩემპიონს მინსკელ ე. ბელოვას ხვდა.

**ციგურები.** მედეოს საციგურაოზე გამართულ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში სვერდლოვსკელმა ა. მედენიკოვმა ორი მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა. 1000-მეტრიანი დისტანცია მან 1.14,46-ში დაფარა და სპრინტერულ მრავალჭიდში 150,035 ქულა მოაგროვა.

**ბალახის ჰოკეი.** მოსკოვში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების შესარჩევი ტურნირის დასკვნით მატჩში ალმაათელმა დინამოელებმა დაამარცხეს ავსტრიის კლუბი „აკადემიშერი“ (5:1) და ფინალში გავიდნენ.

ახლა სსრ კავშირის ჩემპიონები კონტინენტის 12 უძლიერეს გუნდთან ერთად თასს ბარსელონაში 12-15 მაისს გაითამაშებენ.

## ფეხბურთი

# II ლიგა

**15 აპრილს** გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

### „დინამო“ (ზუგდიდი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 3:1

გამოცდილ მეტოქესთან შეხვედრა მასპინძლებმა დაიწყეს სწრაფ ტემპში, ხშირი იერიშებით. განსაკუთრებით მწვავე იყო გარღვევები მარჯვენა ფლანგიდან, „ავტომობილისტის“ საჯარიმო მოედანზე ხშირად გადიოდნენ დარჯანია, ნაჭყებია, გუნია. მე-7 წუთზე ბაქოელთა კარი ძელმა იხსნა.

მიმდინარეობდა შეხვედრის 30-ე წუთი, როცა სტუმრების საჯარიმო მოედანზე მცველებმა აკრძალული ილეთით წააქციეს სომხიშვილი. პენალტი ზუსტად გამოიყენა ნაჭყებიამ — 1:0.

მარცხს ბაქოელებმა კონტრშეტევით უპასუხეს, მაგრამ მცირე ხანში მათ ხელმეორედ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან დარჯანიას დარტყმის შემდეგ.

მეორე ტაიმის დასაწყისი სტუმართა უპირატესობით მიმდინარეობდა და აზიმოვმა შეძლო კიდეც ერთი საპასუხო ბურთის გატანა, მაგრამ მერე ინიციატივას კვლავ ზუგდიდელები დაეუფლნენ, რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოპირდაპირე კართან, გუნიამ კი შორეული ზუსტი დარტყმით კიდევ ერთხელ აიძულა მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაეწყო თამაში — 3:1.

გ. ალშიბაია.

### „გურია“ (ლანჩხუთი) — „გაზოვიკი“ (ორენბურგი) 0:0

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ მატჩში ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა ხელიდან გაუშვეს მოგების აშკარა შესაძლებლობა. ისინი თითქმის განუწყვეტლივ უტევდნენ, მრავლად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს მოპირდაპირე კართან, მაგრამ ძალზე უზუსტოდ ასრულებდნენ გადამწყვეტ დარტყმებს. კერძოდ, ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ ხოფერიას, ჩხაიძეს და სხვებსაც. ტერიტორიულმა უპირატესობამ „გურიას“ ვერ მოუტანა სასურველი შედეგი.

ს. ჟორდანია.

### „დინამო“ (ბათუმი) — „გასტელო“ (უფა) 0:1

მატჩის დასაწყისიდანვე საგრძნობი იყო, რომ ბათუმელები, განსაკუთრებით ბეჟანიძე, შელია, კაკალაძე და სხვები, ზედმეტად ატარებდნენ ბურთს და მოკლე გადაცემებით თამაშობდნენ, მაშინ, როცა სტუმრები ყოველ შესაძლებლობას იყენებდნენ ეფექტური კონტრიერიშისთვის და გრძელი გადაცემებით ახორციელებდნენ კომბინაციებს.

გოლი, რომელმაც სტუმრებს გამარჯვება მოუტანა, გატანილი იქნა მე-40 წუთზე აცკორონოვის მიერ. შემდგომში ბათუმელები ბევრს უტევდნენ, სახიფათო მომენტებსაც საკმარისად ქმნიდნენ, მაგრამ საპასუხო ბურთის გატანა არ მოხერხდა.

ო. მურვანიძე.

### „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ტორპედო“ (ტოლიატი) 1:0

ლოკომოტიველებს ამ მატჩში აკლდათ ტრავმირებული წამყვანი მოთამაშეები გიგოლაშვილი, მესიაჩენკო, ცუცქირიძე, ამიტომ თამაშის დაწყებიდან საკმაო ხნის მანძილზე ტერიტორიულ უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ. სრული დატვირთვით მოუხდა თამაში „ლოკომოტივის“ დაცვას, რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო მეკარე ადეიშვილმა.

სამტრედიელთა თამაში გამოკეთდა მეორე ტაიმში. მართალია, ტოლიატელები კვლავ აქტიურობდნენ, მაგრამ რკინიგზელებიც სულ უფრო ხშირად ჩნდებოდნენ მეტოქის საჯარიმო მოედანზე და უკვე მაშინ, როცა მატჩის დამთავრებას ბევრი არ აკლდა, მიზანი მიღწეული იქნა: გარნოვსკიმ გადასცა ბურთი ჩომახიძეს, ამ უკანასკნელმა — ბახტაძეს და ტორპედოელთა კარის ბადეში გადამწყვეტი გოლი აღმოჩნდა.

ა. ხირაძე.

### „დილა“ (გორი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 3:2

სწრაფი ორმხრივი თამაშის შემდეგ სტუმრებმა შეძლეს ანგარიშის გახსნა: მე-16 წუთზე ამირჯანოვის დარტყმული ბურთი „დილის“ კარში აღმოჩნდა.

მასპინძლებმა მარცხს გაძლიერებული იერიშებით უპასუხეს. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ მცველის უხეში თამაშისთვის „პროგრესის“ კარში დაინიშნა პენალტი. ბუზალაძის დარტყმამ მიზანს მიაღწია — 1:1, მაგრამ გავიდა მცირე ხანი და მეკარე ბერიძემ კვლავ გაუშვა ბურთი იმავე ამირჯანოვისგან. შესვენებისთვის წინ იყვნენ კიროვაბადელები.

მეორე ტაიმში გორელთა დაცვას და მეკარეს კვლავ მოუხდათ რამდენიმე სახიფათო მომენტის მოგერიება. მერე, 70-ე წუთზე, ბერიკაშვილმა შორეული რეიდი შეასრულა, გადააწოდა მამესწარაშვილს და ამ უკანასკნელმა გაათანაბრა ანგარიში — 2:2.

გორელები გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ. მატჩის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, როცა მასპინძლებმა მესამედ აიღეს მეკარე ალახვერდოვის კარი და „დილამ“ ძნელი გამარჯვება მოიპოვა.

ი. თევდორაშვილი.

### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „დინამო“ (სოხუმი) — „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) 2:0, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) 1:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „დინამო“ (კიროვი) 3:2, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „რუბინი“ (ყაზანი) 2:0, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 2:0, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) 0:1, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „ზვეზდა“ (პერმი) 1:2.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოტაიკი“ | 4 | 4 | 0 | 0 | 8—0 | 8 |
| „ლოკომოტივი“ | 4 | 3 | 1 | 0 | 8—2 | 7 |
| „შირაკი“ | 4 | 3 | 1 | 0 | 8—4 | 7 |
| ფიზკ. ინსტ. | 4 | 2 | 2 | 0 | 7—4 | 6 |
| „გურია“ | 4 | 2 | 2 | 0 | 5—2 | 6 |
| „დინამო“ ზ. | 4 | 2 | 2 | 0 | 5—2 | 6 |
| „ყარაბახი“ | 4 | 3 | 0 | 1 | 5—2 | 6 |
| „დინამო“ ს. | 4 | 2 | 1 | 1 | 6—4 | 5 |
| „დინამო“ ბ. | 4 | 2 | 1 | 1 | 3—1 | 5 |
| „დილა“ | 4 | 1 | 3 | 0 | 6—5 | 5 |
| „ზვეზდა“ | 4 | 1 | 2 | 1 | 4—4 | 4 |
| „ხაზარი“ | 4 | 2 | 0 | 2 | 4—4 | 4 |
| „ავტომობილისტი“ | 4 | 2 | 0 | 2 | 4—5 | 4 |
| „ურალეცი“ | 4 | 1 | 2 | 1 | 4—6 | 4 |
| „არაზი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 4—5 | 3 |
| „გასტელო“ | 4 | 1 | 1 | 2 | 3—5 | 3 |
| „პროგრესი“ | 4 | 1 | 0 | 3 | 7—9 | 2 |
| „დრუჟბა“ | 4 | 1 | 0 | 3 | 3—6 | 2 |
| „გაზოვიკი“ | 4 | 0 | 2 | 2 | 2—5 | 2 |
| „რუბინი“ | 4 | 0 | 2 | 2 | 1—4 | 2 |
| „ზენიტი“ | 4 | 0 | 2 | 2 | 1—5 | 2 |
| „ტორპედო“ | 4 | 0 | 1 | 3 | 0—3 | 1 |
| „დინამო“ კრ. | 4 | 0 | 1 | 3 | 4—3 | 1 |
| „ტურბინა“ | 4 | 0 | 1 | 3 | 2—9 | 1 |

# დაცემა და აღზევება რინგის გენიისა

**კრივის მოყვარულთა კუთხე**

„დიადი“, „უძლეველი“, „დეტროიტიდან მოქროლილი გრიგალი“, „ყავისფერი ბომბარდირი“, — ასე იწოდებოდა კრივის სამყაროში მართლაც შეუდარებელი ჯო ლუისი. იგი ღირსი გახდა ისეთი ეპითეტისაც, რომლის ბადალი სხვა არც ერთ მოკრივეს არ ხვდომია წილად — „რინგის გენია“ შეარქვეს ლუისს სპეციალისტებმა.

ლუისი დიახაც იმსახურებდა ამ სახელს, რადგან ის ახამებდა ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან შეუთანხმებელ თვისებებს: უზადო ტექნიკას, ფიზიკურ ამტანობას, ყუმბარისებურ დარტყმას (ლუისი დღესდღეობითაც ნოკაუტის უებრო ოსტატად არის მიჩნეული). მან ჩაატარა 61 ბრძოლა და აქედან 52 ნოკაუტით მოიგო.

ლუისმა დაამარცხა მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონთა, პროფესიული კრივის გლადიატორთა მთელი თანავარსკვლავედი: პრიმო კარნერა, მაქს ბერი, ჯეკ შარკი, ჯეიმს ბრედოკი, მომავალი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, ჯო ჯერსი უოლკოტი და მრავალი სხვა.

ამასთან იგი გამოირჩეოდა ჭეშმარიტად რაინდული თვისებებით. არასოდეს უთქვამს უარი გამოწვევაზე. არასოდეს გაუქილიკებია მეტოქე. ეს თავმდაბალი, კეთილშობილი, მართლაც დიდებული მოკრივე ტყავის ხელთათმანის ოსტატთა მისაბაძ ნიმუშად იქცა.

მისი ბრძოლებისათვის ნიშნადი იყო მძაფრი დრამატულობა და სანახაობითი მიმზიდველობა.

როცა მან რინგი დატოვა, მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მოკრივემ, ჯეკ დემპსიმ განაცხადა, ლუისის გვირგვინის ღირსი მოკრივე არ მეგულებაო.

ჟურნალმა „რინგმა“ გამოაქვეყნა ყველა დროის საუკეთესო მოკრივეთა სია, რომელიც წარმოადგენს ეგრეთ წოდებულ „კრივის პანთეონს“. ლუისის გვარი ამშვენებს ამ მოკლე სიას.

12 წელიწადს იმეფა პროფესიულ რინგზე ჯო ლუისმა. 1934 წლიდან 1949 წლამდე (25-ჯერ დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული) და ეს ხანა კრივის ისტორიაში სამართლიანად წოდებულია „ლუისის ერად“.

მაგრამ თვით „უძლეველმა“ ლუისმაც იწვნია დამარცხების სიმწარე. იგი დაჯაბნა ცნობილმა გერმანელმა მოკრივე მაქს შმელინგმა. ორი წლის შემდეგ კი ლუისმა მეტოქეს სანაცვლო მიაგო.

ჩვენს დღევანდელ პუბლიკაციაში მკითხველს გვსურს წარმოვუსახოთ კრივის მოყვარულთათვის უთუოდ საყურადღებო ამ ორთაბრძოლათა სურათი. აქვე შევნიშნავთ, რომ პირველი ბრძოლის აღწერილობა, რომელიც სარწმუნოდაა მიჩნეული კრივის მცოდნეთა მიერ, ეკუთვნის თვით მატჩის მონაწილე მაქს შმელინგს.

**ედიშერ გიორგაძე,**
**საქართველოს კრივის ფედერაციის აგიტაციისა და პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე.**

### I მატჩი

„მატჩი შედგა 1936 წლის 19 ივნისს ნიუ იორკში, „იანკი-სტადიონზე“, რომელიც იტევდა 90000 მაყურებელს. ჩვენს ბრძოლაზე ადრე გაიმართა ალ გაინერისა და ტონი გალენტოს შეხვედრა. ამ დროისათვის სტადიონზე უკვე თავი მოიყარა დაახლოებით 60000-მა კაცმა.

მატჩის წინ გასახდელში შემოვიდა ჩემი ძველი მეგობარი და თაყვანისმცემელი ტომ ო'როურკი და როგორც ყოველთვის, ამჯერადაც წარმატება მისურვა. ასე თქვა, თუ კრივისა რამე გამეგება, ეს ბრძოლა შენ უნდა მოიგოო. ძლივს მოასწრო სიტყვების წარმოთქმა: გულმა უმტყუნა და მოჭრილ ხესავით წაიქცა. სიკვდილმა ბეჭებზე დასცა თვით ისეთი ძლიერი მოკრივეც, როგორიც იყო თავის დროზე ტომ ო'როურკი.

რინგისაკენ გავემართე. კინაღამ დამაყრუა ტაშის გრიალმა. ზოგი მეკითხებოდა, რამდენს გაძლებ ვერტიკალურ მდგომარეობაშიო. სხვანი ტაშს მიკრავდნენ ნიშნად იმისა, რომ გავბედე და რინგზე გამოვედი.

დაიწყო ტრადიციული ამერიკული ცერემონიალი — მონაწილეთა წარდგენა. მაყურებლებს მატჩის წინ წარუდგინეს მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონები. ყველაზე დიდი ოვაციები დაიმსახურეს ჯეკ დემპსიმ და ჯინ ტუნეიმ. ისინი ჯერ ჩემს კუთხეში მოვიდნენ და მომესალმნენ. მერე ლუისს მიეახლნენ და ხელი ჩამოართვეს. ცერემონიალი კარგა ხანს გაგრძელდა. ვერ ვიტყვი, რომ ეს თეატრალური დადგმა დიდად უწყობდეს ხელს მოკრივის სიმშვიდეს, მაგრამ მე სრულიად არ ვღელავდი.

გვერდს მიმშვენებდნენ ჯო ჯეკობსი, მაქს მეჰონი, ჯო მეილოუნი და დოკ კესი — კრივის სამყაროს ნამდვილი ელიტა. არაერთხელ მდგარა დოკ კესი ჩემს კუთხეში, როგორც სეკუნდანტი. იგი ხომ შესანიშნავად იცნობდა ყველა მოკრივის თვისებებს, ენახა ლუისის ყველა მატჩი და რეფერიც გახლდათ რინგზე მისი ბრძოლის დროს. მატჩის წინ მირჩია: რაუნდის ბოლოს მთელი ძალით შეუტიე, გაბრუებულს დასვენების საშუალებას მოუსპობ, ძვირფასი წუთი დასვენებისა იმის ცდაში გაუვა, როგორმე გონს მოეგოსო. მივსდიე მის დარიგებას.

რეფერიმ, არტურ დონოვანმა, ანიშნა ზარი დაერეკათ (ნიუ იორკში მატჩის დაწყებას გონგი როდი გვამცნობს) და ბრძოლა დაიწყო. რინგის შუაგულში დავდექი — ჯომ ფოცხვერივით ისკუპა თავისი კუთხიდან და შემიტია. მარცხენათი ვიცავდი თავს და ვცდილობდი ალღო ამეღო მოწინააღმდეგისათვის. დროდადრო მარჯვენას გავიქნევდი ხოლმე. ლუისს რამდენჯერმე საგრძნობლად მოვახვედრე და იგი იძულებული გახდა მარტოოდენ მარცხენა ხელით ემუშავა, რათა ჩვენს შორის გარკვეული მანძილი დაეცვა. ვერა და ვერ შესძლო დამაგვირგვინებელი დარტყმის განხორციელება.

რაუნდის ბოლოს მარჯვენა ძლიერად მოვახვედრე კორპუსში, მაგრამ საპასუხოდ მარცხენა მხრიდან მივიღე დარტყმების მთელი სერია. ლუისი მძაფრად მიტევდა. ოღონდ გამოტეხილად რომ ვთქვა, განსაკუთრებულს არაფერს ვგრძნობდი. უეცრივ მარცხენა პირდაპირი მომხვდა თვალში. როგორც იტყვიან, ცეცხლმა დაკვესა და უპე ცრემლით ამევსო. ლუისი არ ცხრებოდა, მაგრამ ვიტანდი ამ დარტყმებს, იმის მოლოდინში ვიყავ, როდის გამექნია მარჯვენა.

მეორე რაუნდშიც გამიმართლა. ნიკაპში მოვახვედრე, მთელი ძალა ჩავაქსოვე ამ დარტყმაში. იგი გაბრუვდა, მაგრამ მყის მოეგო გონს. დარბაზმა პირველად დამიკრა ტაში. ხალხი გუგუნებდა. ისმოდა ფეხების ბრახუნი და ენით აუწერელი ყიჟინა, მაგრამ გნიასი ისე აღწევდა ჩემამდე — თითქოსდა შორეული პლანეტიდან მოქროლილი ბგერები. ლუისმა კვლავ დამაყარა სერიები. ჩემი მეგობრები შემდეგ მეუბნებოდნენ, იმ წუთებში შენი გამარჯვების იმედი გადაგვიწყდაო. მათ ვერ შენიშნეს, რომ ეს დარტყმები არცთუ ძლიერი იყო.

მესამე რაუნდი დაიწყო თუ არა, კვლავ ნიკაპში დავუმიზნე და მოვარტყი კიდეც მარჯვენა პირდაპირი. ვიცოდი, ჩემი მეტოქე უფრთხოდა ამას. ჩემი ერთადერთი მიზანი კი ის იყო, როგორმე მომეხერხებინა და მარჯვენა გამეძვრინა. ოღონდ მხედველობიდან არ უნდა გამომრჩენოდა, რომ ლუის თავად ჰქონდა გამანადგურებელი დარტყმა. ერთ-ერთს აკი წამოვეგე კიდეც. ასე მეგონა, კეტი შემომკრეს. ლუისი ფეხდაფეხ მდევდა და მსუბუქი დარტყმების სერიებს მაყრიდა. იმ გაუსაძლის წუთებში საკუთარ თავს ვლანძღავდი იმის გამო, რომ ვერ ვირიდებდი შეტევას. ხელებსაც კი ვერ ვუშვერდი ამ დარტყმებს. მაგრამ მაინც არ მატოვებდა გამარჯვების რწმენა.

ლუისი მეოთხე რაუნდშიც განაგრძობდა შეტევას. ისე გამალებით მესხმოდა თავს, აღარ ვიცოდი როგორ დავძვრომოდი ხელიდან. შეტევის დარდი ვისღა ჰქონდა. ფრიად შეჭირვებული გახლდით და ამაოდ ვეძებდი გამოსავალს ჩემთვის სავალალო ვითარებიდან. გამუდმებით ჩავაგონებდი საკუთარ თავს, არა და არ მეჩქარა, დროზე ადრე არ მეფიქრა გადამწყვეტ დარტყმაზე, თორემ შესაძლო იყო თავად წამოვგებოდი შემხვედურს. თავს ვიმშვიდებდი, ჩემს განკარგულებაში ჯერ კიდევ მაქვსმეთქი 11 რაუნდი — სრულიად საკმარისი დრო ანგარიშის გასასწორებლად.

(დასასრული შემდეგ ნომერში).



მაქს შმელინგი.



ჯო ლუისი.

## ჭადრაკი

### დაუმარცხებლად მხოლოდ ოთხნი

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის ფინალის VI ტურში დ. გედევანიშვილმა რ. კაპანაძის წინააღმდეგ მხოლოდ თანაბარი პოზიცია მიიღო. 31-ე სვლაზე კაპანაძე უხეშად შეცდა და წააგო. მოსწავლე დ. ჩაჩიბაიამ ცაიტნოტში კარგად ითამაშა ი. ჩიქოვანთან, მაგრამ პარტია პერსპექტიულ მდგომარეობაში სწორად ვერ წარმართა და იგი უარეს პოზიციაში გადადო.

ცენტრალური იყო ზ. სტურუა — ე. უბილავას შეხვედრა. დაძაბული ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო სტურუას უპირატესობით. გადაიდო, აგრეთვე, გ. ზაიჩიკ — მ. არჩვაძის (სამტრედია) პარტია პირველისთვის უკეთესი შანსით.

ნ. იოსელიანი რ. ლომიძესთან (გარდაბანი) შემტევი სტილით თამაშობდა და მეტოქეს ფარ-ხმალი დააყრევინა, გ. მაჭარაშვილმა დაამარცხა ნ. ტურაშვილი (რუსთავი), რ. დადიანმა (სოხუმი) — ლ. ნეურონოვი (ბათუმი).

ყაიმზე შეთანხმდნენ ა. შახტახტინსკი (სოხუმი) — გ. ციხელაშვილი, ი. კუზმინი — ი. ცქიტიშვილი.

გუშინწინ მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

საქართველოს ჩემპიონმა სტურუამ მოუგო უბილავასა და დადიანს. ჩიქოვანი დაუზავდა უბილავას და სძლია ჩაჩიბაიას. იოსელიანი დაუზავდა ციხელაშვილს. I ტურიდან გამოტოვებული ტურაშვილ — ციხელაშვილის პარტია ყაიმით დამთავრდა. ზაიჩიკმა მოუგო იოსელიანსა და არჩვაძეს, შახტახტინსკიმ — მაჭარაშვილს.

6 ტურის შემდეგ დ. გედევანიშვილს 6 ქულა აქვს, ზ. სტურუას, გ. ზაიჩიკს — 5,5-5,5, ი. ჩიქოვანს — 5 (მათ არც ერთი წაგება არ აქვთ), ე. უბილავას — 4,5, მ. არჩვაძეს, ნ. იოსელიანს, რ. კაპანაძეს, ი. კუზმინს — 3-3.

**რ. თავარიანი,**
**ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

* * *

**სურათზე:** გ. ციხელაშვილისა (მარცხნივ) და ი. ჩიქოვანის შეხვედრა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



### თამაში რომ განახლდა...

ლვოვში, მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში 8 ტურის შემდეგ ი. ბალაშოვს 5,5 ქულა აქვს, ვ. ტუკმაკოვს — 5, რ. ვაგანიანს, ბ. გულკოს — 4,5-4,5, ა. ბელიავსკის, გ. კუზმინს, ო. რომანიშინს — 4-4, ა. კოჩიევს, ვ. სავონს — 3,5-3,5.

მონაწილეთა ასეთი მდგომარეობა გაირკვა გადადებული პარტიების დამთავრებისას, რომელიც 8 ტურის შემდეგ გაიმართა.

ტუკმაკოვმა მოუგო ვ. სმისლოვსა და ე. გელერს. გელერმა დაამარცხა ბელიავსკი, მაგრამ თავად დანებდა ვ. ბაგიროვსა და ა. კოჩიევს. ბელიავსკიმ ფარ-ხმალი დააყრევინა ბაგიროვს და დაუზავდა ო. რომანიშინს. რომანიშინმა კიდევ სამი პარტია ითამაშა: მოუგო ვაგანიანს, ი. დორფმანს და წააგო სავონთან. კუზმინმა მსუბუქი ფიგურების ენდშპილი მოუგო სმისლოვს. 1,5 ქულა მოაგროვა ვ. ცეშკოვსკიმ ე. სვეშნიკოვთან (მოუგო) და დორფმანთან პარტიებში.

### პირველი წრის შემდეგ

სოჭი, 16 აპრილი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა მოჭადრაკეთა შესარჩევი მატჩ-ტურნირის VII ტურში ყაიმით დამთავრდა ზ. აზმაიფარაშვილ — ლ. იურტაევის (ფრუნზე) შეხვედრა.

ს. დოლმატოვმა (მოსკოვი) მოუგო ბ. ტაბოროვს (კიევი), ლ. ეოლიანმა (ერევანი) — ა. ხარიტონოვს (ივანოვო). გადაიდო ზ. ლანკა (რიგა) — ლ. ფსახისის (კრასნოიარსკი) შეხვედრა.

გადადებული პარტიების დამთავრებისას აზმაიფარაშვილმა ზუსტი თამაშით მოუგო ეოლიანს, დაზავდნენ ტაბოროვი — იურტაევი.

დამთავრდა შეჯიბრების პირველი წრე. 7 ტურის შემდეგ ლიდერობენ ზ. აზმაიფარაშვილი, ს. დოლმატოვი, ლ. იურტაევი — 4,5-4,5 ქულა, ა. ხარიტონოვი — 4.

**ა. გუსლაევი,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.**

### ცნობები ბუდაპეშტიდან

ბუდაპეშტში მიმდინარეობს გამოჩენილი უნგრელი საჭადრაკო მოღვაწის ლ. ალფელდის ხსოვნისადმი მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტი, სსრ კავშირის ჩემპიონი, დიდოსტატი მ. ჩიბურდანიძეც მონაწილეობს.

4 ტურის შემდეგ 2,5-2,5 ქულა აქვთ ჩიბურდანიძეს, ჟ. ვერეცის (უნგრეთი), კ. ერეტოვას (ჩეხოსლოვაკია) და ა. ვორკს (გდრ), ოღონდ უკანასკნელ სამ მოჭადრაკეს კიდევ თითო გადადებული პარტია აქვს.

ჩიბურდანიძე III ტურში დაუზავდა მ. პორუბსკის (უნგრეთი), მეოთხეში — ვერეცის.

### გურიელი: 4 ქულა 4-დან

ბიდგოშჩში (პოლონეთი) მიმდინარეობს ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის 16 მონაწილეს შორის თბილისელი ოსტატი ნ. გურიელიც არის.

4 ტურის შემდეგ ლიდერობს გურიელი — 4 ქულა. I ტურში ე. ნოინჰერტთან (გდრ) მოგების შემდეგ მან ზედიზედ დაამარცხა უნგრელი ე. ჰონფი, პ. ფოისტელი (გდრ) და რუმინელი მ. ტეოდორესკუ.

## ჩემპიონატები, ტურნირები, ლიდერები

### ესპანეთი

ფინიშამდე 6 ტურით ადრე ძნელი სათქმელია ჩემპიონობა მადრიდის „რეალს" დარჩება თუ „ბარსელონას". ორივე გუნდს 28 თამაშის შემდეგ 35-35 ქულა აქვს.

28-ე ტურში „რეალ-ბეტისი" (სევილია), რომელსაც პირველი ლიგის დატოვება ემუქრება, საკუთარ მინდორზე შეხვდა მადრიდის „რეალს" და გაიმარჯვა — 4:2, „ბარსელონამ" კი ფრედ (1:1) დაამთავრა შეხვედრა თავისივე ქალაქის „ესპანიოლთან". III ადგილის ძირითადი პრეტენდენტები არიან „ვალენსია", „სპორტინგი" (ხიხონი) და ბილბაოს „ატლეტიკი". პირველ ორს 32-32 ქულა აქვს, „ატლეტიკს" — ერთი ქულით ნაკლები.

პირველ ლიგას დატოვებს „კადიქსი" (19 ქულა), რომელიც მხოლოდ ამ სეზონში გადმოვიდა მეორედან და ისევ უკან ბრუნდება. მეორე გუნდი, რომელსაც იგივე ხვედრი ელის, ჯერჯერობით არ გამოვლენილა. საინტერესოა, რომ ამ უსიამოვნებას ძლივს გადაურჩა შარშანდელი ჩემპიონი მადრიდის „ატლეტიკო", რომელიც 27 თამაშიდან 26 ქულით მე-12 ადგილზეა. ასეთი ცუდი შედეგი კლუბს არასოდეს ჰქონია.

### ავსტრია

ეროვნული ფედერაციის მესვეურებმა დაადგინეს მომდევნო ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობა 10-დან 16-მდე გაზარდონ და შემდგომი პირველობა ოთხის ნაცვლად ორ წრედ ჩაატარონ.

31 ტურის შემდეგ 48 ქულით პირველ ადგილზეა ვენის „აუსტრია", რომელსაც კარგა ხანია განაღდებული აქვს ჩემპიონობა. II ადგილისთვის იბრძვიან ვენის „რაპიდი" (36 ქულა), შარშანდელი ჩემპიონი „სვაროვსკი-ვაკერი" (ინსბრუკი), რომელსაც 33 ქულა და 1 გამოტოვებული მატჩი აქვს და გრაცის „შტურმი" (33 ქულა).

31-ე ტურში „აუსტრიამ" მიიღო „სვაროვსკი-ვაკერი". ფრე — 1:1.

### შოტლანდია

ჩემპიონობისთვის სულ 2 გუნდი იბრძვის: „გლაზგო რეინჯერსი" (30 თამაშიდან 44 ქულა) და „აბერდინი" (31 თამაშიდან 44 ქულა). განვლილ ტურში ორივე ლიდერი ფრეს დასჯერდა: „გლაზგო რეინჯერსი" საკუთარ მინდორზე „სტ. მირენთან" — 1:1 და „აბერდინი" სტუმრად — გლაზგოს „სელტიკთან" — 2:2.

### ჰოლანდია

ჩემპიონობა ფაქტიურად განაღდებული აქვს „ფშვ ეინდჰოვენს". მან ფრედ (1:1) ითამაშა სტუმრად „აც 67 ალკმაართან" და ახლა 30 თამაშიდან 49 ქულა აქვს. 3 გუნდი განაგრძობს ბრძოლას II საპრიზო ადგილისთვის. „ტვენტეს" 29 თამაშიდან 42 ქულა აქვს, „აც 67 ალკმაარს" — 30 თამაშიდან 42 ქულა, შარშანდელ ჩემპიონ „აიაქსს" (ამსტერდამი) 29 თამაშიდან 40 ქულა.

### ბელგია

დასკვნითი 4 ტურის წინ „ფკ ბრიუგე" 4 ქულით უსწრებს „ანდერლეხტსა" და ლიეჟის „სტანდარდს". მას 46 ქულა აქვს, „ანდერლეხტსა" და „სტანდარდს" — 42-42. „ბრიუგეს" თავისი წოდების შენარჩუნების კარგი შესაძლებლობები აქვს. სხვა გუნდები საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში უკვე აღარ მონაწილეობენ.

## როგორ უნდა გახდე კარგი ჩოგბურთელი

ნიუ იორკი. როგორც ასოშიეიტედ-პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იტყობინება, სულ ახლახან აშშ-ში პროგრესულად იზრდებოდა ჩოგბურთში მომეცადინეთა რაოდენობა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ამ რიცხვმა 6-დან 30 მილიონს მიაღწია. ამასთან მკვეთრად გაიზარდა ჩოგბურთში „ხელის მომთბობ" საქმოსანთა რიცხვი. რეკლამამ საქმე ისე დააყენა, რომ თუ ჩოგბურთის მოედანზე სპორტსმენი 25 დოლარად ღირებული სპორტული ფეხსაცმლითა და 75-დოლარიანი ჩოგნით არ გამოცხადდებოდა, მას მეორეხარისხოვან პროვინციელად ჩათვლიდნენ. ჩოგბურთი ვაჭრობის საგანი გახდა, იგი იყიდებოდა, როგორც ჯანმრთელობის, პრესტიჟისა და დაფნის გვირგვინის მოპოვების უნივერსალური საშუალება.

მაგრამ იმედი გაუცრუვდათ ჩოგბურთის ახალ თაყვანისმცემლებს. ჩოგბურთის სექციებში მოვარჯიშეთა რაოდენობა 10 მილიონამდე შემცირდა.

რა მოხდა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იოლია. რეკლამის, უმთავრესად ტელევიზიის, წყალობით ახალგაზრდობა „შეესია" საჩოგბურთო კორტებს. ლამაზი სიტყვებით გაბრუებულებს ეგონათ განსაკუთრებული გარჯის გარეშე, ვთქვათ, ათიოდე ვარჯიშის შემდეგ, გახდებოდნენ მსოფლიო კლასის ჩოგბურთელები, მაგალითად, ჯიმი კონორსის ან კრის ევერტის მსგავსნი. ბევრი ამბობდა: „მე გადავიხადე ფული, და ახლა თქვენი ვალია გავხდე კარგი ჩოგბურთელი!" მაგრამ სამწუხაროდ, სპორტული ფეხსაცმელი, თუნდაც ევერტს რომ ეცვა, უიმბლდონის ტურნირის მონაწილეობის გარანტიას არ იძლევა. დიდი სპორტისთვის, დიდი ჩოგბურთისთვის სპორტსმენმა ბევრი რამ უნდა დათმოს და თავდაუზოგავად ივარჯიშოს. ამის გაგება კი ბევრს არ სურს. (საქდესი).

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

## ი. გმოხი: ნაკრებების დონე გათანაბრდა



არგენტინა ელის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებს, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც არგენტინას მაისის შუა რიცხვებში ეწვევა, არის 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — პოლონეთის ეროვნული ნაკრები. გუნდის ინტენსიური მზადებისა და მომავალი გეგმების შესახებ ამ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელს ი. გმოხს ესაუბრა დასავლეთ ბერლინის „დი ვარჰაიტის" კორესპონდენტი.

**კითხვა:** გეკუთვნით თუ არა გადამწყვეტი ხმა ნაკრების დაკომპლექტებაში?

**პასუხი:** გულდასმით ვისმენ ყველა აზრს, მაგრამ ვწყვეტ მარტო მე. დღემდე ჯერ არავის არაფერი დაუძალებია და იმედია, შემდგომშიც ასე იქნება. ჩემი აზრით, ის ფეხბურთელი, რომელიც ნაკრების მაისურს ჩაიცვამს, უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა მიუდგეს საქმეს.

**კითხვა:** ამ შემთხვევაში ჟურნალისტები გეხმარებიან თუ, პირიქით, ხელს გიშლიან?

**პასუხი:** რასაკვირველია, მეხმარებიან. ერთია მხოლოდ, რომ სანამ ჟურნალისტები კრიტიკას დაიწყებენ, საქმის ვითარებას ახლოს უნდა გაეცნონ, მათი შენიშვნები მარტო ემოციებიდან არ უნდა გამომდინარეობდეს.

**კითხვა:** თქვენ მრავალ წერილს ღებულობთ. მომხდარა თუ არა, რომ რომელიმე წერილობითი რჩევა შემდეგ პრაქტიკულად განგიხორციელებიათ?

**პასუხი:** მარტო სპეციალისტებს როდი აქვთ ნათელი წარმოდგენა ფეხბურთზე. მოვიყვან ასეთ მაგალითებს: ერთმა გულშემატკივარმა წერილობით მირჩია ლიუბანსკის 1974 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში თვალყური ედევნებინა მურის შეცდომებისათვის და ლიუბანსკიმ ამ შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა. ერთმა ნაცნობმა ჟურნალისტმა შთამაგონა ბონეკი თავდასხმაში გამომეყვანა. შედეგმაც არ დააყოვნა.

**კითხვა:** როგორ უყურებთ ნაკრების გაახალგაზრდავების საკითხს?

**პასუხი:** გასულ წელს ნაკრების შემადგენლობაში პირველ პლანზე ახალგაზრდობა იყო. ვინც თავი გამოიჩინა საკონტროლო მატჩებში, მხედველობიდან არ გამოგვრჩენია. ამის მაგალითებია სობოლი, ოკონსკი, იაკუბჩიკი.

**კითხვა:** არგენტინაში პოლონეთის ნაკრები ასაკის მიხედვით ყველაზე ხნიერი იქნება. მრავალი გულშემატკივარი უკვე დღეს სვამს კითხვას — მათაც ხომ არ ელით იტალიელთა ბედი, რომელიც მათ ხვდათ 1974 წლის ჩემპიონატზე?

**პასუხი:** ასაკის შიში არა გვაქვს. ჩემმა წინამორბედმა კაზიმეჟ გურსკიმ შეცდომა დაუშვა, როდესაც მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ჟურნალისტებსა და გულშემატკივრებს აჰყვა და გუნდი უცებ გაააახალგაზრდავა. მიმაჩნია, რომ ნაკრების გაახალგაზრდავება, მხოლოდ სათანადო კონკურენციის შედეგად უნდა მოხდეს.

**კითხვა:** ნაკრების თამაშის სტილზე რას გვეტყვით?

**პასუხი:** სტილზე ლაპარაკი ძნელია. ოპტიმალური ფეხბურთის მომხრე ვარ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამარჯვებისათვის ყველაფერს ვაკეთებ.

**კითხვა:** თქვენი აზრით, რომელი ქვეყნის ნაკრები უახლოვდება იდეალურს და რომელი გუნდები მიგაჩნიათ ფავორიტებად არგენტინაში?

**პასუხი:** იდეალურზე ლაპარაკი ძნელია. არის რამდენიმე კარგი ნაკრები, რომელთაგან უპირველეს ყოვლისა გამოვყოფდი მსოფლიო ჩემპიონს — გფრ-ს, ვინაიდან არგენტინისთვის გერმანელები წუნარად და, რაც მთავარია, რაციონალურად ემზადებიან. შემდეგ დავასახელებ არგენტინას და ბრაზილიას, რომელთა პოტენციური შესაძლებლობანი ყოველთვის მაღალი იყო. ფავორიტთა რიცხვს ჰოლანდიელებსაც მივაკუთვნებდი. ეს ჩემპიონატი ძალზე საინტერესო იქნება, რადგანაც ნაკრები გუნდების დონე საგრძნობლად გათანაბრდა.

გერმანულიდან თარგმნა **მ. რადიანევა.**

რედაქტორი ა. ბასილაია.

21 აპრილს თბილისში, ალპური კლუბის (კიროვის სახ. პარკი) სხდომათა დარბაზში მოწვეულია საქართველოს „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პლენუმი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1). ოლიმპიური რეზერვის მომზადებაში სპორტსაზოგადოება „განთიადის" ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ (მომხსენებელი ბ. ბაყანოვი).

2). „განთიადის" პირველიდან მესამე პლენუმამდე ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიში. (მომხსენებელი ტ. კიკნაველიძე). დასაწყისი 12 საათზე.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს სათხილამურო სპორტისა და ალპინიზმის კათედრის მასწავლებლის 1 ერთეულზე (სათხილამურო სპორტის სპეციალობით).

კონკურსის ვადაა 15 დღე გამოცხადებიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღე 9-დან 16 საათამდე.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 49. ტელეფონი 22-31-60, 23-09-22.

ინსტიტუტის რექტორატი.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.